



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
აკადემიური საბჭო

დადგენილება № 01-05-04/191

ქ. თბილისი

25 ივლისი 2018

სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 26 ივნისის №704  
დადგენილებით მიღებულ დებულებაში მაგისტრატურის შესახებ  
ცვლილებების შეტანა

„უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 25 ივლისის №01-05-02/14 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

შევიდეს შემდეგი ცვლილება სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 26 ივნისის №704 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში მაგისტრატურის შესახებ:

1. მე-7 მუხლს დაემატოს მე-13 პუნქტი შემდეგი რედაქციით: „მაგისტრანტმა საქართველოში არ ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში, რექტორის ნებართვით, შეიძლება კოლოკვიუმი ჩაატაროს დისტანციურად ონლაინ რეჟიმში (სკაიპით) კომისიური წესით“;
2. მე-8 მუხლს დაემატოს მე-10 პუნქტი შემდეგი რედაქციით: „მაგისტრანტმა საქართველოში არ ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის

შემთხვევაში, რექტორის ნებართვით და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, შეიძლება დაიცვას სამაგისტრო ნაშრომი დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში (სკაიპით)“.

3. დამატოს მუხლი 8<sup>1</sup> სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის რეჟიმი:

„8<sup>1</sup>.1. სტუ უფლებამოსილია, საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, განახორციელოს სწავლება-სწავლის პროცესი არასრული დატვირთვით მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში“;


„8<sup>1</sup>.2. სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის რეჟიმი ნიშნავს სტუდენტის სასწავლო დატვირთვის კვირაში დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების ჯამური მოცულობით არაუმეტეს 25 ასტრონომიული საათისა“;

„8<sup>1</sup>.3. სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის განსაზღვრისას ერთი აკადემიური წელი მოიცავს საშუალოდ 30 (ECTS) კრედიტს“.

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

აკადემიური საბჭოს მდივანი



ა. ფრანგიშვილი

გ. სალუქვაძე